ჩემპიონატი

თბილისის “დინამომ” წააგო

(მოსკოვი, ელვა, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

22 ივლისს მოსკოვში “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა მეორე წრის პირველი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ **მოსკოვის და თბილისის “დინამოს”** ფეხბურთელთა გუნდები. თბილისის გუნდში თამაშობდნენ დოროხოვი და ბერეჟნოი, დანარჩენი ძირითადი შემადგენლობა იყო. მატჩის პირველი ნახევარი თბილისელთა დიდი უპირატესობით ჩატარდა. მე–16 წუთზე ხარბედიას გააქვს პირველი გოლი. მე–21 წუთზე ბერეჟნოი გადასცემს ბურთს ჯეჯელავას და იგი მოხდენილად ახვევს მოსკოველთა ბადეში. პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით – 2:0.

მეორე ტაიმი დაიწყო მოსკოველთა ძლიერი შეტევით. ბრძოლის ცენტრშია სმირნოვი. მე-6 წუთზე მან გაიტანა პირველი ბურთი. მე-16 წუთზე მეორე ბურთი თბილისელთა კარებში სემიჩასტნიმ გაგზავნა. უშედეგო გამოდგა თბილისელთა ყოველი ცდა: 36-ე წუთზე ბერეჟნოიმ ააცდინა ბურთს თავი და დაკარგა ერთი უეჭველი გოლი. მოედნიდან გაჰყავთ დაშავებული ფროლოვი, მას ცვლის მინაევი. 42 წუთზე სმირნოვმა გაარღვია თბილისელთა დაცვა და მესამე გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ამრიგად მატჩი მოიგო ექსჩემპიონმა – ანგარიშით 3:2.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 23 ივლისი, 1939 წ.